ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №228

2016 წლის 29 დეკემბერი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურების პროგრამის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს 2017 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურების პროგრამა თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30);

4. განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის

მუნიციპალური პროგრამა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურების პროგრამა

შპს ,,ქობულეთის ტრანსრეგულირება"

1.პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი

დაწყება - 01/01/2017

დამთავრება – 31/12/2017

2.პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტია 142600 ლარი.

3.პროგრამის დაფინანსების წყარო

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

4.პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

5.პროგრამის განმახორციელებელი

შპს ,,ქობულეთის ტრანსრეგულირება"

6. პროგრამის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება

ზემოაღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურეობის გაუმჯობესება, რაც გამოიხატება შემდეგში:

1.ხელმისაწვდომობა (საბაზრო ფასთან შედარებით შეღავათიანი ფასი).

2.მოსახლეობის უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილება.

3.სხვადასხვა მიმართულებით ტრანსპორტის დამატებით მომსახურეობა.

ავტობუსები მოემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაბებში და სოფლებში, ქობულეთის და ბათუმის მიმართულებით.

აღნიშნული პრობლემის მოგვარება კი მეტად საჭირო და აუცილებელია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

აღნიშნული პროგრამა დადებითად აისახება მოსახლეობის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ პრობლემაზე და ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

7. პროგრამის მიზნები

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებისა და ქალაქის მოსახლეობისათვის უსაფრთხო, ხარისხიანი და კომფორტული გადაადგილების პირობების შექმნა.

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკური სოციალური დონის გაუმჯობესებას.
- პროგრამით მოთხოვნილი თანხები გაიხარჯება იმ სამარშუტო ხაზებზე, რომლებზეც არსებობს მოსახლეობის მოთხოვნა და პროგრამის განმხორციელებელი შეათანხმებს ქობულეთის მუნიციპალიტეტს.

8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორი

N	პროგრამის მიზნები	მიზნების მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორი
1	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზემოაღნიშნულ სოფლებში და ქალაქის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაადგილების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და ქალაქის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაადგილება დროულად და კომფორტულად

9. პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯები

პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯები შეადგენს:

142600 (ასორმოცდაორი ათას ექვსასი) ლარს.

(ლარებში)

№	დასახელება	თანხა
ა	მუნიციპალური ავტობუსების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში.	142600

10. **პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ავტობუსების მიმდინარე საექსპლუატაციო, ადმინისტრაციული და ზედნადები გეგმიური ხარჯების განაწილება თვეების მიხედვით

შენიშვნა: ცალკეულ თვეებში ფაქტიურად ამოღებული თანხებისა და გაწეული ხარჯების ცვლილებიდან გამომდინარე დასაშვებია თვის ლიმიტების შესაბამისი ცვლილებაც.

თვეები	**თანხა**
იანვარი	22076
თებერვალი	10508
მარტი	10848
აპრილი	10067
მაისი	11270
ივნისი	22630
ივლისი	8050
აგვისტო	6272
სექტემბერი	11050
ოქტომბერი	11440
ნოემბერი	9492
დეკემბერი	8897
სულ	**142600**

11. ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება ყოველ მომდევნო თვის დასაწყისში წარმოდგენილი ფაქტიური დანახარჯებისა და ამ მიზნით მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით.

12. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

13. პროგრამის შემდგენი და განმახორციელებელი:

შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება“.

14. პროგრამის განმახორციელებელი:

შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება.“